ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2311880

ნომერი: AR1358983

თარიღი : 24.11.2015

გაცემის თარიღი : 25.11.2015

გაცნობის თარიღი : 25.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ორბელიანი , N 8 , N 10 , (ნაკვეთი N 005/016) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ფაჯიშვილი პ/ნ 01002010739
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 11 ბ. 55

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2254114 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 24

ნოემბერს AR1358983 განცხადებით მომართეს მარიამ ფაჯიშვილმა და გელა ხიზანიშვილმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2254114 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2254114 ბრძანებით ქ. თბილისში, ორბელიანის ქუჩა N8, N10 (ნაკვეთი N 005/016)–ში მოწონებულ იქნა (უძრავი ძეგლი) არსებული შენობის რეაბილიტაციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 23 ოქტომბრიდან 2016 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.
აღნიშნულ ინდივიდუალურ ადიმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია მარიამ ფაჯიშვილი.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, დღეის მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბილდერი“ (განაცხადის N882015620584, მომზადების თარიღი: 30/10/2015, საკადასტრო კოდი: 01.18.03.005.016). ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ შპს '' ბილდერის'' დირექტორია გელა ხიზანიშვილი (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B15080958; ამონაწერის მომზადების თარიღი: 15/04/2015). შესაბამისად, განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2254114 ბრძანებაში დამკვეთად მარიამ ფაჯიშვილის ნაცვლად შპს „ბილდერი“–ს (ს/კ 431173534) დაფიქსირებას.
„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ძეგლის მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი აქვს ახალ მესაკუთრეს – შპს „ბილდერი“–ს, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და 2015 წლის 21 ოქტომბრის №2254114 ბრძანებაში დამკვეთად მარიამ ფაჯიშვილის ნაცვლად მიუთითოს შპს „ბილდერი“.
აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2254114 ბრძანებაში და დამკვეთად მარიამ ფაჯიშვილის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ბილდერი“ (ს/კ 431173534).
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2254114 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.